

მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის, პრევენციული ქცევების და
საჯარო ნდობის მონიტორინგი (კვლევა) კორონავირუსის პანდემიის
ფონზე საქართველოში

**Monitoring knowledge, risk perceptions, preventive behaviours, and
public trust in the current coronavirus outbreak in Georgia**

პირველი, მეორე და მესამე ტალღის კვლევების
ანალიტიკური ანგარიში

მაისი, 2020



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



კვლევა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შემუშავებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს და გაზიარებულ წევრი სახელმწიფოებისათვის, რათა მოახდინონ კოვიდ19 პანდემიაზე ინფორმირებული რეაგირება.

The study is conducted in agreement with the Ministry of Displaced Person from Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs, the World Health Organization Regional Office for Europe, World Health Organization Country Office Georgia and the UNICEF Office for Georgia with financial support from WHO/Europe, the European Union and UKaid.

The study tool and methodology were developed by the WHO Regional Office for Europe and offered to member states to inform their COVID-19 pandemic response activities.

განაცხადი / Disclaimer

კვლევა განხორციელდა ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორების და გაეროს ბავშვთა ფონდის მოსაზრებებს.

The study is implemented with financial support from the European Union and UKaid. Opinions expressed herein are those of the authors and do not necessarily reflect the views of the donors and UNICEF.

Contents

მეთოდოლოგია	4
შემაჯამებელი დასკვნა	5
კვლევის ძირითადი შედეგები.....	13
1. რესპონდენტთა შემოსავლები	13
2. რესპონდენტთა დასაქმების მდგომარეობა.....	14
3. საკუთარი ცოდნის სუბიექტური შეფასება და ობიექტური/რეალური ცოდნა	15
4. ნაპრალები (GAPS) რესპონდენტთა ცოდნაში	20
5. ცოდნის კავშირი ქცევასთან	23
6. კოვიდ-19-თან გამკლავების ემოციური აღქმა.....	26
7. ატიტუდები კოვიდ-19-ის მიმართ	29
8. მზაობა დამცავი ზომების გასატარებლად, შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში	31
10. დაცვითი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.....	36
11. კოვიდ-19-ის შესახებ ინფორმაციის მიღების სიხშირე, ინფორმაციით კმაყოფილება და ინფორმაციის საჭიროება.....	39
12. გამოსავალი გადაუდებელი ვითარებიდან.....	41
13. ნდობა სხვადასხვა სტეიკჰოლდერის მიმართ	43
14. მთავრობის საქმიანობის შეფასება.....	47
14.1. ზოგადი შეფასება.....	47
14.2. შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის მხარდაჭერა	49
15. რესპონდენტების განცდები/წუხილები.....	51
16. კოვიდ-19-ით ინფიცირებასთან დაკავშირებული სტიგმები	54
17. პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო აქტივობების შეფასება.....	56
18. არასანდო/გადაუმოწმებელი ინფორმაცია.....	58

მეთოდოლოგია

1. კვლევის ტიპი: რაოდენობრივი კოჰორტული კვლევა
2. კვლევის მეთოდი: სატელეფონო გამოკითხვა (საშუალო ხანგრძლივობა - 30 წთ)
3. კვლევის ინსტრუმენტი: სტრუქტურირებული კითხვარი
4. კვლევის ობიექტი: საქართველოს 11 რეგიონის სრულწლოვანი (18 წლის და მეტი) მოსახლეობა
5. შერჩევის ზომა: 1000 რესპონდენტი (თითოეულ ტალღაში)
6. შერჩევის ცდომილება: მთელი შერჩევისთვის ($\pm 3,1\%$ 95%-იანი სანდოობით); კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია რესპონდენტთა სქესის, ასაკი, ქალაქის/სოფლის მოსახლეობის მიხედვით.
7. საველე სამუშაოები:
 - ✓ პირველი ტალღა: 21-22 აპრილი, 2020 წელი
 - ✓ მეორე ტალღა: 29-30 აპრილი, 2020 წელი
 - ✓ მესამე ტალღა: 14-15 მაისი, 2020 წელი
8. მონაცემთა ანალიზის მეთოდები: უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული

შემაჯამებელი დასკვნა

1. პირველი ორი ტალღის მონაცემები აჩვენებდა, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა რეალობამ ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილს შემოსავლები შეუმცირა და გააღარიბა: კორონამდელ პერიოდთან შედარებით, შემოსავლები შეუმცირდა ოჯახების დაახლოებით მეოთხედს (23%), იგივე დაურჩა 65%-ს და გაეზარდა 3%-ს.

შემოსავლების კლება ძირითადად დაბალშემოსავლიან ოჯახებში მოხდა (შემოსავლები: 0-300 ლარი და 301-500 ლარი), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მწვავედ შეეხო ღარიბ მოსახლეობას (ღარიბები კიდევ უფრო მეტად გაღარიბდნენ).

მესამე ტალღაში შეინიშნება მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ზრდა; ეს ძირითადად შეეხო დაბალშემოსავლიან ოჯახებს (0-300 ლარი); ასეთი ოჯახების წილი მესამე ტალღაში, მეორე ტალღასთან შედარებით, დაახლოებით 6%-ით შემცირდა და მიუახლოვდა პირველი ტალღის ნიშნულს.

2. სამივე ტალღაში რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა აცხადებს, რომ გამოკითხვის მომენტისთვის ანაზღაურებადი სამსახური არ გააჩნია (პირველი ტალღა 79%, მეორე ტალღა - 76%, მესამე ტალღა - 71%). თუმცა, მესამე ტალღაში რესპონდენტთა დასაქმების მაჩვენებლები რამდენადმე იზრდება (პირველი ტალღა - 21%; მეორე ტალღა - 24%; მესამე ტალღა - 29%). შესაბამისად უმუშევრობის ზრდის ტრაექტორია ასეთია: პირველ ტალღასი გაიზარდა 21%-ით, მეორე ტალღაში - 29%-ით, ხოლო მესამე ტალღაში - 20%-ით.

3. სამივე ტალღის რესპონდენტებს გააჩნიათ მაღალი თვითშეფასება, როდესაც ისინი ახალი კორონავირუსის და მისი გავრცელების შესახებ საკუთარი ცოდნის დონეს აფასებენ (85%-ზე მეტი პოზიტიურად აფასებს). მეორე მხრივ, მაღალ სუბიექტურ შეფასებას გააჩნია ობიექტური საფუძველი: რესპონდენტთა 90%-ზე მეტი სწორად განსაზღვრავს დაინფიცირების სიმპტომებს, რისკ ჯგუფებს, გავრცელების გზებს, სარისკო ქცევებს და პრევენციის გზებს.

პირველ ორ ტალღაში რეგრესიული ანალიზი აჩვენებდა, რომ:

- ✓ რაც უფრო ხშირად იყენებენ რესპონდენტები საინფორმაციო წყაროებს, მით უფრო მეტ ცოდნას ფლობენ ვირუსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.
- ✓ რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო ვერ ახერხებენ რესპონდენტები სწორი ქცევების განსაზღვრას.
- ✓ სასოფლო ტიპის დასახლებებში ცხოვრება, ურბანულთან შედარებით, უარყოფით გავლენას ახდენს პრევენციული ზომების შესახებ ინფორმირებულობაზე.

მესამე ტალღაში გამოიკვეთა მნიშვნელობის მქონე დამატებითი ფაქტორი: ის რესპონდენტები გამოირჩევიან განსაკუთრებით მარალი ინფორმირებულობით, რომელთაც აქვთ გაბცდა, რომ ვირუსი მათთან ახლოსაა

4. სამივე ტალღაში რესპონდენტების 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ისინი, ისევე როგორც, მათივე თქმით, მათი ოჯახის წევრები, კორონავირუსის პრევენციულ ზომებს ასრულებენ: იბანენ ხელებს 20 წამის განმავლობაში, დაუბანელი ხელებით არ ეხებიან სახეს, რჩებიან სახლში ავადმყოფობის დროს, თავს არიდებენ მასობრივ შეკრებებს, ატარებენ ნიღაბს, იცავენ სოციალურ დისტანციას და ა.შ.

რესპონდენტების უმრავლესობა, სამივე ტალღაში, სოლიდარულია სხვების მიმართ: ისინი ეთანხმებიან იმას, რომ ხელების დაბანა, ისევე როგორც თავშეყრის ადგილებისაგან თავის არიდება, მათ ეხმარება სხვების დაცვაში.

მეორე ტალღაში, რესპონდენტთა 90%-ზე მეტი გამოთქვამდა მზაობას, რათა აუცილებელი პრევენციული ზომები დაეცვა მაშინაც, როცა შეზღუდვები თანდათან მოიხსნებოდა/შემსუბუქდებოდა. მესამე ტალღაში, წინა ტალღასთან შედარებით, რამდენადმე შესუსტდა დამცავი ზომების გატარების მიმართ რესპონდენტთა მზაობა; კერძოდ, მესამე ტალღაში რესპონდენტთა მზადყოფნამ 10%-ის ფარგლებში მოიკლო (თუმცა, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა კვლავ ლოიალურია დამცავი ზომების გატარების მიმართ). როგორც ჩანს, უსაფრთხოების ნებაყოფლობითი უზრუნველყოფა ვერ აღმოჩნდა ოფიციალური რეგულაციებით განპირობებული იძულების ტოლმალოვანი ალტერნატივა

სოციალური დისტანციის დაცვის მზადყოფნას უფრო მეტად გამოხატავენ:

- ✓ ქალები
- ✓ ქალაქში მაცხოვრებლები
- ✓ ისინი, ვისაც სამედიცინო სექტორის მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- ✓ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ კორონავირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ ისინი, ვინ უფრო ხშირად იყენებს მედია საშუალებებს ვირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად
- ✓ ისინი, ვინც მედიას არ აბრალებს ვირუსის გაზვიადებულ წარმოჩენას

თავშეყრის ადგილებისგან თავის არიდების მზადყოფნას უფრო მეტად გამოხატავენ:

- ✓ რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია, დაინფიცირდნენ
- ✓ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ კორონავირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ ისინი, ვისაც სამედიცინო სექტორის მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- ✓ ისინი, ვინც მედიას არ აბრალებს ვირუსის გაზვიადებულ წარმოჩენას
- ✓ ახალგაზრდები
- ✓ რისკ-ჯგუფების წარმომადგენლები

5. კოვიდ-19-თან გამკლავების ემოციური აღქმა სამივე ტალღის რესპონდენტებში ზომიერად ოპტიმისტურია, თუმცა, მნიშვნელოვნად გამყარებულია მესამე ტალღაში:

- პირველ ორ ტალღაში უფრო დიდი ნაწილი (საშუალოდ 47%), ხოლო მესამე ტალღაში - უმრავლესობა (55%) მიიჩნევს, რომ კორონავირუსით მათი დაინფიცირებს ალბათობა დაბალია;
- დაახლოებით ასეთივე დინამიკაა რესპონდენტთა განწყობებში, როდესაც ისინი განსაზღვრავენ საკუთარი თავის დაცულობას კორონავირუსის მიმართ;
- ტალღებს შორის პოზიტიური დინამიკაა ვირუსის სიხლოვესიშორის განცდაში: მესამე ტალღაში რესპონდენტთა მნიშვნელოვნად გაზრდილი რაოდენობა, კერძოდ, უმრავლესობა (56%) ფიქრობს, კორონავირუსი მათგან შორსაა.
- სამივე ტალღის უმრავლესობის აზრით (საშუალოდ 65% ორივე ტალღაში, ხოლო 73% - მესამე ტალღაში), მათთვის ამ მდგომარეობაში ახალი კორონავირუსით დაინფიცირების თავიდან არიდება ადვილია.

სამივე ტალღამ გამოავლინა კოვიდ-19-თან გამკლავების ემოციური აღქმის განმაპირობებელი სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები:

- ✓ ქალები, კაცებთან შედარებით, საშუალოდ უფრო ემოციურად აღიქვამენ კორონავირუსს და მისით გამოწვეულ პრობლემებს;
- ✓ რაც უფრო იზრდება რესპონდენტის ასაკი, მით უფრო მაღალია ვირუსით დაინფიცირების ალბათობის აღქმა. აგრეთვე, იმის აღქმა, რომ, დაინფიცირების შემთხვევაში უფრო რთულად გადაიტანენ ვირუსს.
- ✓ ქალაქის ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებს დაინფიცირების ალბათობის უფრო ძლიერი აღქმა აქვთ, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებს.

6. რესპონდენტთა დამოკიდებულებები კორონავირუსის ინფექციის მიმართ იცვლება სამი ტალღის შუქზე და მონაცემებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსვლა ფიქსირდება:

- მესამე ტალღის რესპონდენტთა შორის ყველაზე ნაკლები რესპონდენტია დარწმუნებული იმაში, რომ ვირუსი სწრაფად ვრცელდება (პირველ ტალღაში დარწმუნებულია 77%; მეორე ტალღაში - 60%, ხოლო მესამე ტალღაში - 49%)
- მესამე ტალღების რესპონდენტთა შორის (მეორე და, განსაკუთრებით, პირველ ტალღასთან შედარებით), ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ ვირუსი ნერვიულობის საფუძველს იძლევა (პირველი ტალღა - 73%, მეორე ტალღა - 67%, მესამე ტალღა - 65%).

ეს განსხვავებები უნდა აიხსნას საქართველოში განვითარებული მოვლენების კონტექსტით: საქართველოში ვირუსის გავრცელების ტემპმა იკლო და მას მასშტაბური ლეტალური შედეგები მოჰყოლია.

7. სამივე ტალღის რესპონდენტების უმრავლესობა ემხრობა ზოგიერთი მკაცრი ზომის გატარებას კონორავირუსის გავრცელების პრევენციისთვის. თუმცა, მკაცრი ზომების მიმართ მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შემცირებულია მესამე ტალღაში:

- სახლიდან გასვლა მხოლოდ პროფესიული, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან გადაუდებელი მიზეზებით უნდა იყოს დაშვებული (პირველი ტალღა - 81%; მეორე ტალღა - 74%; მესამე ტალღა - 55%)
- ვირუსის გავრცელების დროს სასურველია, ზოგიერთ ადამიანთან შევწყვიტოთ კონტაქტი, მათი წარმოშობის ქვეყნის მიხედვით (პირველი ტალღა - 73%; მეორე ტალღა - 73%; მესამე ტალღა - 55%)

ზემოაღნიშნული ზომების მხარდაჭერის მიუხედავად, რესპონდენტები, განსაკუთრებით მესამე ტალღაში, მხარს არ უჭერენ ზედმეტად მკაცრი/ავტორიტარული ზომების გატარებას. მაგალითად, მთავრობის მიერ ახალი კონორავირუსის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე წვდომის აკრძალვას არ ეთანხმება პირველი ტალღის რესპონდენტთა 42%; მეორე ტალღის - 53% და მესამე ტალღის 59%).

როგორც წესი, სამივე ტალღაში, მკაცრი ზომების მიმართ მიმღებლობა იმათ უფრო გააჩნიათ, ვისაც:

- ✓ სამედიცინო სტრუქტურების მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- ✓ სამთავრობო სტრუქტურების მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- ✓ აქვს განცდა, რომ ვირუსს რთულად გადაიტანს
- ✓ აქვს განცდა, რომ ვირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ არ სჯერა, რომ ვირუსის გარშემო განვითარებული მოვლენები მედიის მიერ გაზვიადებულია

8. მესამე ტალღაში, პირველ და მეორე ტალღასთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც უკვე განახორციელა ან დაგეგმა დაცვითი ქმედებების შესრულება, როგორებიცაა:

- დამატებით იმ მედიკამენტების შეძენა, რომლებსაც რეგულარულად არ მოიხმარენ
- დამატებითი მედიკამენტების შეძენა, რომლებსაც რეგულარულად მოიხმარენ
- სოციალურ ღონისძიებებში არმონაწილეობა
- ოჯახის წევრების არნახვა
- სტუმრების არმიღება (იგულისხმება ოჯახის წევრები და მეგობრები)
- ოჯახის არასრულწლოვანი წევრებისთვის მეგობრებთან შეხვედრის აკრძალვა

მოსახლეობაში ტაბუ განსაკუთრებით მოიხსნა ისეთ სოციალურ აქტივობებზე, როგორებიცაა:

ა) სტუმრების არმიღება (პირველ ტალღაში სტუმრებს არ იღებდა 44%, მეორე ტალღაში - 41%, ხოლო მესამე ტალღაში - 30%) და ბ) ოჯახის არასრულწლოვანი წევრებისთვის მეგობრებთან

შეხვედრის აკრძალვა (პირველ ტალღაში აკრძალვას აწესებდა 61%, მეორე ტალღაში - 54%, ხოლო მესამე ტალღაში - 48%). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ პრევენციული სოციალური აქტივობების მიმართ მოსახლეობის ყურადღება მოდუნდა.

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს სამივე ტალღისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს::

- ✓ ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მეტად იცავენ პრევენციულ ზომებს.
- ✓ სამთავრობო უწყებების მიმართ მზარდი ნდობა დადებითად აისახება პრევენციული ზომების განხორციელებაზე
- ✓ რაც უფრო ახლოდ აღიქვამენ რესპონდენტები ვირუსს, მით უფრო სრულყოფილად მისდევენ თავდაცვით წესებს
- ✓ რაც უფრო ხშირად იღებენ რესპონდენტები ვირუსის შესახებ ინფორმაციას მედია საშუალებებით, მით უფრო იცავენ პრევენციულ ზომებს

ამასთან, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ მისდევს რეკომენდირებულ ზომებს, უფრო მეტად ახორციელებს პანიკის შემცველ ისეთ ქცევებს, როგორებიცაა დამატებითი საკვების ან მედიკამენტების შეძენა.

9. სამივე ტალღის კვლევაში რესპონდენტთა 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ხშირად იღებს ინფორმაციას ახალი კორონავირუსის შესახებ. თუმცა, პირველ ორ ტალღასთან შედარებით, მესამე ტალღაში იკლებს იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც ინფორმაციას ძალზე ხშირად (სისტემატურად) იღებს (ქულა 7-ს პირველ ტალღაში ირჩევს 67%, მეორე ტალღაში - 60%, ხოლო მესამე ტალღაში - 54%). ასეთი დინამიკა იმით უნდა აიხსნას, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული ბევრი ინფორმაციით საზოგადოება უკვე გაჯერებულია და ყოველდღიურ სიახლეებს ნაკლებად ელოდება.

ამავე დროს, სამივე ტალღის კვლევაში რესპონდენტთა დაახლოებით 90% კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ინფორმაციის მიმართ, რომელსაც ისინი იღებენ კოვიდ-19-ის შესახებ

მიუხედავად ამისა, სამივე ტალღაში, გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს იმის საჭიროებას, რომ მიიღოს განახლებული/დამატებითი ინფორმაცია ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინისა და სამკურნალო პრეპარატის შემუშავებასთან დაკავშირებული სამეცნიერო პროგრესის შესახებ.

რეგრესიული ანალიზი სამივე ტალღისთვის საერთო კორელაციებს ადგენს:

- ✓ რაც უფრო დიდია სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა, რესპონდენტები მიღებული ინფორმაციითაც მეტად არიან კმაყოფილნი.
- ✓ რაც უფრო ხშირად იყენებენ რესპონდენტები მედიას, მით უფრო კმაყოფილები არიან მიღებული ინფორმაციით (მედიის მოხმარების სიხშირე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ინფორმაციით კმაყოფილებაზე).

10. გამოსავალს იმ გადაუდებელი ვითარებიდან, თუკი მათ ან მათი ოჯახის წევრებს ისეთი სიმპტომები გაუჩნდებათ, როგორებიცაა სიცხე, ხველება, სუნთქვის პრობლემები და სხვა, სამივე ტალღის რესპონდენტების 70%-ზე მეტი პოულობს 112-ის ცხელ ხაზზე დარეკვაში.

11. სამივე ტალღის რესპონდენტთა 85%-ზე მეტმა დაასახელა ის სტეიკჰოლდერები, რომლებიც, მათი აზრით, კარგად ართმევენ თავს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს და, შესაბამისად, მაღალი ნდობით სარგებლობენ: საავადმყოფოები, რომელიც კორონავირუსით დაინფიცირებულ ადამიანებს მკურნალობენ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ჯანდაცვის სამინისტრო და კორონავირუსთან დაკავშირებული საკოორდინაციო საბჭო.

დაფიქსირდა ერთი სტრუქტურა - კერძო კომპანიები/ბიზნესი, რომლის მიმართ ნდობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია ორივე ტალღაში.

სხვადასხვა სტრუქტურის მიმართ ნდობაზე ყველაზე დიდ გავლენას მედიის გამოყენების სიხშირე ახდენს: რაც უფრო მზარდია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების გამოყენების სიხშირე, მით უფრო მეტად იზრდება ნდობა სამთავრობო და სამედიცინო სტრუქტურების მიმართ.

12. გამოკითხულთა უმრავლესობა, სამივე ტალღაში, ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომები კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ადეკვატურია. თუმცა, მეორე და მესამე ტალღებში მთავრობის მიერ გატარებული ზომების პოზიტიური შეფასება რამდენადმე შემცირდა (პირველ ტალღაში პოზიტიურ შეფასებას იზიარებს 84%, მეორე ტალღაში - 76% და თითქმის იგივე რაოდენობა მესამე ტალღაში - 77%). უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწესებული შეზღუდვების მიმართ მოსახლეობის რეზისტენტობის ზრდას აქვს როგორც ეკონომიკური, ისე ფსიქოლოგიური მოტივაცია: ადამიანებს, შემოსავლის მისაღებად, დასაქმება ესაჭიროებათ, რომელიც, მკაცრი შეზღუდვების პირობებში, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. გარდა ამისა, ემოციური სტაბილურობისთვის ადამიანებს ესაჭიროებათ ფიზიკური სოციალური კავშირების აღდგენა, განსაკუთრებით, პირველადი ჯგუფების (ოჯახის წევრები, მეგობრები) წევრებთან.

რეგრესიულმა ანალიზმა სამივე ტალღისთვის საერთო კანონზომიერება აჩვენა:

- ✓ რაც უფრო იზრდება ნდობა სამთავრობო უწყებების მიმართ, მით უფრო მეტად ფასდება მთავრობის მიერ მიღებული ზომები, როგორც ადეკვატური.
- ✓ რესპონდენტები, რომლებიც კორონავირუსის გარშემო განვითარებულ მოვლენებს მედიის მიერ გაზვიადებულად მიიჩნევენ, მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ნაკლებად ადეკვატურად აფასებენ.

მესამე ტალღაში კიდევ უფრო გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, ვინც ეთანხმება დებულებას, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმა შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შესახებ არსებული ვითარების შესაბამისია (მეორე ტალღა 59%; მესამე ტალღა - 62%). მესამე ტალღაში გაიზარდა მათი რაოდენობაც, ვინც შეზღუდვების უფრო ფართოდ და სწრაფად მოხსნას მხარს უჭერს (მეორე ტალღა - 14%, მესამე ტალღა - 20%).

13. მესამე ტალღაში, პირველ ორ ტალღასთან შედარებით, შემცირებულია (ზოგჯერ, მნიშვნელოვნად) რესპონდენტთა წუხილები კორონავირუსით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური დამარცხებების მიმართ. რესპონდენტები ნაკლებად განიცდიან ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა:

- ჯანდაცვის სისტემის პაციენტებით გადატვირთულობა (შემცირებულია მნიშვნელოვნად)
- სამედიცინო საშუალებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (შემცირებულია მნიშვნელოვნად)
- საკვებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (შემცირებულია მნიშვნელოვნად)
- საყვარელი ადამიანის დაკარგვა
- უმუშევრად დარჩენა
- საზოგადოებრივი ეგოიზმის ზრდა

ის, რაც სამივე ტალღაში მეტ-ნაკლებად თანაბრად წარმოადგენს წუხილის საგანს, ისაა, რომ რესპონდენტებმა არ იციან, თუ როდის დასრულდება არსებული პრობლემური ვითარება.

14. მოსახლეობის უმრავლესობაში სტიგმა ინფიცირებულების მიმართ გამოკვეთილი არ არის, თუმცა, რესპონდენტთა ერთ ნაწილში არსებობს გაუცხოება ასეთი ადამიანების მიმართ. კერძოდ, საშუალოდ 10%-ს შეადგენს იმ ადამიანთა წილი, ვინც სტიგმის აღმნიშვნელ დებულებებზე (მაგალითად, როგორებიცაა: „თუ ადამიანს კორონავირუსი დაუდასტურდა, ეს მან (და მისმა ოჯახის წევრებმა) არავის არ უნდა გაუმხილონ, სამედიცინო პერსონალის (ექიმების) გარდა“, „სირცხვილია, თუ კორონავირუსი შეგეყრება“, „მოვერიდები გამოჯანმრთელებულ (ყოფილ დაინფიცირებულ) ადამიანთან კონტაქტს“ და ა.შ), უპასუხა „სრულიად ვეთანხმები“.

უმაღლესი განათლების ცენზი უარყოფითად მოქმედებს სტიგმის აღიარებაზე.

15. რესპონდენტთა უმრავლესობა (72%), რომელთაც ოჯახში სასკოლო ასაკი ბავშვები ჰყავთ (ასეთია ოჯახების 76%), კმაყოფილია დისტანციური სწავლებით, რომელსაც სკოლა მათი ოჯახის სასკოლო ასაკის ბავშვ(ებ)ს სთავაზობს; უკმაყოფილებას დისტანციური სწავლებით გამოხატავს 12% (ოთხმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ მათი ოჯახის სასწავლო ასაკის ბავშვები სკოლაში არ ირიცხებიან).

კმაყოფილების ხარისხი რამდენადმე იკლებს (თუმცა, უმრავლესობა - 63% - კმაყოფილია), როდესაც რესპონდენტები (რომელთაც ოჯახში სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჰყავთ - ასეთია 44%) აფასებენ დისტანციური ურთიერთობას, რასაც საგანმანათლებლო/კულტურული დაწესებულებები 3-6 წლის ბავშვებს სთავაზობს.

რესპონდენტები, ძირითადად, პოზიტიურ შეფასებებს გამოხატავენ, როდესაც საქმე ეხება დისტანციური საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდეგ კომპონენტებს:

- ონლაინ სწავლებისას ოჯახის მიერ ბავშვის დახმარებაში დახარჯული დრო
- ბავშვის მიერ დავალებების დამოუკიდებლად შესრულება
- ბავშვ(ებ)ის აკადემიური წინსვლა
- სკოლების/სკოლამდელი დაწესებულებების მიერ გაწეული ძალისხმევა პანდემიის პირობებში


კვლავ, პოზიტიური შეფასებების აღმწერ დებულებებს უფრო მეტად ეთანხმებიან რესპონდენტები, რომელთაც ოჯახში სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, ვიდრე ისინი, რომელთა ოჯახებში სკოლამდელი ასაკის ბავშვები ცხოვრობენ.

კვლევის ძირითადი შედეგები

1. რესპონდენტთა შემოსავლები

მესამე ტალღის პერიოდში შეზღუდვების ეტაპობრივმა მოხსნამ შესაძლებელი გახადა, რომ ადამიანებს - ძირითადად, თვითდასაქმებულებს - კვლავ გასჩენოდათ შემოსავლის წყაროები (მაგ., საკოლმეურნეო ბაზრების ამოქმედებამ თვითდასაქმებულებს ვაჭრობის შესაძლებლობა მისცა). ამას გამოიწვია მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ზრდა; თუმცა, ეს ძირითადად შეეხო დაბალშემოსავლიან ოჯახებს - 0-300 ლარი; ასეთი ოჯახების წილი მესამე ტალღაში, მეორე ტალღასთან შედარებით, დაახლოებით 6%-ით შემცირდა და მიუახლოვდა პირველი ტალღის ნიშნულს.


დიაგრამა #1




2. რესპონდენტთა დასაქმების მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ მესამე ტალღაში, წინა ორი ტალღის მსგავსად, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (71.1%) აცხადებს, რომ გამოკითხვის მომენტისთვის ანაზღაურებადი სამსახური არ გააჩნია, რესპონდენტთა **დასაქმების მაჩვენებლები რამდენადმე იზრდება** (პირველი ტალღა - 21%; მეორე ტალღა - 24%; მესამე ტალღა - 29%). ეს, ცხადია, უკავშირდება კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნას. თუმცა, მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ კოვიდ-19-ის გავრცელებამდე ანაზღაურებადი სამსახური გააჩნდა რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (48%), ეს ნიშნავს, რომ კორონავირუსამდე დასაქმებულთა 41,3%-მა დაკარგა სამსახური. ეს მონაცემი, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ მოსახლეობაში დაახლოებით 20%-ით გაიზარდა უმუშევრობის დონე (პირველ ტალღაში უმუშევრობის ზრდა შეადგენდა 21,1%-ს, მეორე ტალღაში - 26,9%-ს, ხოლო მესამე ტალღაში - 19.7%-ს).

დიაგრამა #2



დიაგრამა #3



იმ ადამიანებმა, რომლებმაც სამსახური დაკარგეს, წინა ორი ტალღის მსგავსად, ამის **ორი ძირითადი მიზეზი** დაასახელეს: ა) შეუძლებელი იყო დისტანციურად მუშაობა (63%) და ბ) დაკავებული ვიყავი ისეთი საქმიანობით/ზიზნესით, რომელმაც პანდემიის დროს შეწყვიტა მუშაობა (26%).


საინტერესოა, რომ, ისევე როგორც პირველი და მეორე ტალღების შემთხვევაში, მესამე ტალღის პერიოდში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობის (62%) სამსახური მოითხოვს სამუშაო ადგილზე ყოფნას, 29% დისტანციურად მუშაობს, ხოლო 9% - ორივე რეჟიმში.

3. საკუთარი ცოდნის სუბიექტური შეფასება და ობიექტური/რეალური ცოდნა

ისევე როგორც პირველი და მეორე ტალღების შემთხვევაში, მესამე ტალღის რესპონდენტები გამოირჩევიან მაღალი თვითშეფასებით, როდესაც საქმე ეხება: ა) ახალი კორონავირუსის და ბ) მისი გავრცელების თავიდან აცილების შესახებ საკუთარი ცოდნის დონის შეფასებას. ამასთან, მეორე და მესამე ტალღების მონაცემები პრაქტიკულად იდენტურია. უფრო კონკრეტულად, მესამე ტალღის რესპონდენტთა:

- 86.8% ახალი კორონავირუსის შესახებ საკუთარი ცოდნის დონეს საკუთარი ცოდნის დონეს დადებითი შეფასების ველში ათავსებს (ქულები 5, 6, 7 შვიდ ქულიან სკალაზე; ამასვე მოწმობს ცენტრალური ტენდენციების საზომებიც: Mean – 5.86, Median – 6.0).
- 87.9% ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ საკუთარი ცოდნის დონეს დადებითად აფასებს (ქულები 5, 6, 7 შვიდ ქულიან სკალაზე; ამასვე მოწმობს ცენტრალური ტენდენციების საზომებიც: Mean – 5.93, Median – 6.0).


დიაგრამა #4




ისევე როგორც ბირველი ორი ტალღის შემთხვევაში, რესპონდენტთა მიერ საკუთარი ცოდნის მაღალ სუბიექტურ შეფასებას გააჩნია **ობიექტური საფუძველი**: ტესტური შეკითხვების საფუძველზე დასტურდება, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (როგორც წესი, 90%-ზე მეტი) სწორად განსაზღვრავს: ა) დაინფიცირების უშუალო რისკ ჯგუფებს; ბ) დაინფიცირების მთავარ/ყველაზე ხშირ სიმპტომებს; გ) დაინფიცირების სარისკო ქცევებს; დ) ინფექციის გადაცემის გზებს; ე) დაინფიცირების პრევენციის გზებს; ვ) იმას, რომ კორონავირუსი გადადის ადამიანიდან ადამიანზე.

ამასთან, მესამე ტალღის რესპონდენტთა უმრავლესობა (72%), ისევე როგორც ბირველი და მეორე ტალღების დროს, სწორად პასუხობს, რომ არ არსებობს არც სამკურნალო პრეპარატი და არც ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.


დიაგრამა #5




დიაგრამა #6




დიაგრამა #7




დიაგრამა #8




დიაგრამა #9



დიაგრამა #10



დიაგრამა #11



4. ნაპრალები (GAPS) რესპონდენტთა ცოდნაში


4.1. პირველი და მეორე ტალღების ანალოგიურად, მესამე ტალღის რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილს (12.8% - მესამე ტალღა, 11.7% - მეორე ტალღა, 12.4% - პირველი ტალღა) ჰგონია, რომ არსებობს კორონავირუსის სამკურნალო წამალი ან ვაქცინა ან ორივე ერთად, ხოლო დამატებით 15.3% (14.6% პირველ ტალღაში, 15.4% მეორე ტალღაში) აცხადებს, რომ არაფერი იცის ამის შესახებ (ანუ, ჯამში, 28.1%-ს (მეორე ტალღაში - 27.1%-ს, პირველ ტალღაში - 27%-ს,) არ აქვს სწორი ინფორმაცია ამ საკითზე) (იხ. დიაგრამა #11)

4.2. მესამე ტალღის რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (30.9%) აცხადებს, რომ არ იცის, გადაეცემა თუ არა ინფექცია ფეკალურ-ორალური გზით, ხოლო კიდევ 15.6%-ს ჰგონია, რომ არ გადაეცემა (ეს მონაცემები პრაქტიკულად იმეორებს მეორე ტალღის შედეგებს; პირველ ტალღაში ამ მიმართულებით ინფორმირებულობის დონე უარესი იყო: 41.1% მიუთითებდა, რომ არ გადაეცემა) იხ. დიაგრამა #10.

4.3. პირველი ორი ტალღის მსგავსად, მესამე ტალღაში გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჩვილები (მესამე ტალღა - 61.6%; მეორე ტალღა - 61.2%; პირველი ტალღა - 59.2%), 1-5 წლის ბავშვები (მესამე ტალღა - 59%; მეორე ტალღა - 59.7%; პირველი ტალღა -

55.8%) და ორსული ქალები (მესამე ტალღა - 73.2%; მეორე ტალღა - 74.7%; პირველი ტალღა - 75.7%) რისკ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

დიაგრამა #12



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ კორონავირუსის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობაზე გავლენას ახდენს ვირუსის მოახლოების განცდა: ის რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ ვირუსი მათთან ახლოსაა, უკეთ ინფორმირებულები აღმოჩნდნენ იმათთან შედარებით, ვინც თვლის, რომ ვირუსი მათგან შორსაა. ამასთან, სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა ნეგატიურ კორელაციაშია კორონავირუსის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობასთან: ნდობის მატებასთან ერთად იკლებს ინფორმირებულობის ხარისხი.

ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორი (სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა და ვირუსის მოახლოების განცდა) დადებით გავლენას ახდენს რესპონდენტთა მიერ თავდაცვის ზომების სწორად ამოცნობაზე.

სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა დადებით გავლენას ახდენს სწორი პრევენციული ზომების ამოცნობაზე.


	COVID-19-ის შესახებ ინფორმირებულობა	თავდაცვის ზომების სწორად ამოცნობა	არასწორი ზომების სწორად მიჩნევა
--	-------------------------------------	-----------------------------------	---------------------------------

	Bet a	standartize d CI	p	Bet a	standartize d CI	p	Bet a	standartize d CI	p
სამთავრობო ინსტიტუტები ს მიმართ ნდობა	- 0.0 8	-0.15 – - 0.00	0.03 9	0.0 9	0.02 – 0.17	0.01 6			
ვირუსის მოახლოების განცდა	0.1 2	0.04 – 0.19	0.00 2	0.0 9	0.02 – 0.16	0.01 5			
სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა							0.1 0	-0.17 – - 0.03	0.00 8


5. ცოდნის კავშირი ქცევასთან

გამოკითხვა ადასტურებს, რომ პირველი და მეორე ტალღის მსგავსად, მესამე ტალღის რესპონდენტებმა არა მხოლოდ იციან, რომელია ეფექტური გზები ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასარიდებლად/პრევენციისთვის, არამედ **თავადაც ამ ზომების შესაბამისად იქცევიან**: იბანენ ხელებს 20 წამის განმავლობაში, დაუბანელი ხელებით არ ეხებიან სახეს, რჩებიან სახლში ავადმყოფობის დროს, თავს არიდებენ მასობრივ შეკრებებს, ატარებენ ნიღბს, იცავენ სოციალურ დისტანციას და ა.შ.

დიაგრამა #13




დიაგრამა #14



ამასთან, რესპონდენტები სწორი ქცევების განხორციელებას მხოლოდ საკუთარ თავის შემთხვევაში კი არა, მათი ოჯახის წევრებშიც აღნიშნავენ.

დიაგრამა #15



სამივე ტალღის გამოკითხვის შედეგები კიდევ ერთ საინტერესო შედეგს აჩვენებს: რესპონდენტების უმრავლესობა **სოლიდარულია** სხვების მიმართ: ისინი ეთანხმებიან იმას, რომ ხელების დაბანა, ისევე როგორც თავშეყრის ადგილებისაგან თავის არიდება, მათ ეხმარება სხვების დაცვაში.

ცხრილი #1

	რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს?	Mean (1-საერთოდა არ ვეთანხმები; 7 - სრულიად ვეთანხმები)			Median			Std. Deviation		
		1-ლი	მე-2	მე-3	1-ლი	მე-2	მე-3	1-ლი	მე-2	მე-3
1	ხელების დაბანა მეხმარება სხვების დაცვაში	6.28	6.49	6.41	7.00	7.00	7.00	1.256	.975	1.013
2	მინდა, რომ თავშეყრის ადგილებისგან თავის არიდებით სხვები დავიცვა	6.52	6.58	6.42	7.00	7.00	7.00	.982	.835	.965

6. კოვიდ-19-თან გამკლავების ემოციური აღქმა

6.1. რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (სამივე ტალღაში) ფიქრობს, რომ **კორონავირუსით მათი დაინფიცირების ალბათობა** დაბალია (ქულები 1, 2, და 3 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან დაბალი“, ხოლო ქულა 7 – „ძალიან მაღალი“. აღსანიშნავია, რომ მესამე ტალღაში ეს აღქმა რესპონდენტებს კიდევ უფრო უმყარდებათ (პირველი ტალღა - 44.9%; მეორე ტალღა - 50%); მესამე ტალღა - 55.1%. ასეთი ალბათობა მაღალია (ქულები 5, 6 და 7) პირველი ტალღის რესპონდენტთა 27%-თვის, მეორე ტალღის 21.9%-თვის, ხოლო მესამე ტალღის - 18.2%) (იხ. დიაგრამა #16).

6.2. რესპონდენტთა მოსაზრებები გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ, მათი აზრით, **რამდენად რთულად გადაიტანენ ახალ კორონავირუსს**. თუმცა, პოზიტიური განწყობები მესამე ტალღაში იმატებს: პირველ ტალღაში რესპონდენტთა 29.5% მიიჩნევდა, რომ მარტივად გადაიტანდა კორონავირუსს (ქულები 1, 2 და 3 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან მარტივად“, ხოლო ქულა 7 – „ძალიან რთულად“); დაახლოებით ამდენივე (30.1%) ფიქრობდა, რომ რთულად გადაიტანდა ინფექციას. მეორე ტალღაში ეს თანაფარდობა ირღვევა მარტივად გადატანის სასარგებლოდ („მარტივად“ – 32.9%, „რთულად“ – 25.9%), ხოლო მესამე ტალღაში კიდევ უფრო მატულობს ინფექციის მარტივად გადატანის აღქმა („მარტივად“ – 37.5%, „რთულად“ – 23.3%) (იხ. დიაგრამა #16).


6.3. სამივე ტალღაში რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი **საკუთარ თავს დაცულად მიიჩნევს** ახალი კორონავირუსის მიმართ: პირველ ტალღაში ასეთი აღქმა აქვს 43.6%-ს (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან დაუცველად“, ხოლო ქულა 7 – „ძალიან აცულად“), 22.2%-ის საპირწონედ (ქულები 1, 2 და 3). მეორე და, განსაკუთრებით, მესამე ტალღაში დაცულობის შეგრძნება იმატებს (მეორე ტალღა: დაცულად - 46.1%; დაუცველად - 17.9%; მესამე ტალღა: დაცულად - 53%; დაუცველად - 12.8%) (იხ. დიაგრამა #16).

6.4. რესპონდენტთა უმრავლესობა სამივე ტალღაში თვლის, რომ მათთვის ამ მდგომარეობაში ახალი კორონავირუსით **დაინფიცირების თავიდან არიდება არის ადვილი** (ქულები 5, 6, და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან მნელი“, ხოლო ქულა 7 – „ძალიან ადვილი“). ამ თვალსაზრისითაც, რესპონდენტთა ოპტიმიზმი მეორე და მესამე ტალღებში კიდევ უფრო გამოკვეთილია („ადვილია“ - პირველი ტალღა - 60.9%; მეორე ტალღა - 71%; მესამე ტალღა - 73%) (იხ. დიაგრამა #16).

6.5. პირველ, მეორე და მესამე ტალღებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება მაშინ, როდესაც რესპონდენტები განსაზღვრავენ საკუთარ აღქმას იმასთან დაკავშირებით, თუ **რამდენად ახლოსაა ან შორსაა მათგან ვირუსი**. პირველ ტალღაში რესპონდენტთა 44.3% ფიქრობდა, რომ ვირუსი მათგან შორსაა (ქულები 5, 6, და 7 შვიდ

ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან ახლოსაა“, ხოლო 7 – „ძალიან შორისაა“). მეორე ტალღაში ამგვარი შეგრძნების მატარებელია გამოკითხულთა ნახევარი (50.2%), ხოლო მესამე ტალღაში - უმრავლესობა (56%). ასეთი განსხვავება უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოში ვირუსის მასობრივი გავრცელება არ მომხდარა და ფიქსირდება ტენდენცია, როდესაც ინფიცირების ახალი შემთხვევები მნიშვნელოვნად ჩამორჩება გამოჯანმრთელებულ ინფიცირებულთა რაოდენობას (იხ. დიაგრამა #16).

დიაგრამა #16



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ქალები, კაცებთან შედარებით, საშუალოდ უფრო ემოციურად აღიქვამენ კორონავირუსს და მისით გამოწვეულ პრობლემებს. ასევე, რაც უფრო მატულობს რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო იზრდება რესპონდენტთა ემოციურობა კორონავირუსის მიმართ. დაწყებითი განათლების მქონეები ემოციურად უფრო ნაკლებად დატვირთულები აღმოჩნდნენ კორონავირუსის მიმართ, ვიდრე საბაზისო ან პროფესიული განათლების მქონეები. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო სექტორის მიმართ მაღალი ნდობის შემთხვევაში, რესპონდენტები, საშუალოდ, უფრო მეტად ემოციურად აღიქვამენ ვირუსს.

	საშუალო ემოციურობა
--	--------------------

	Beta	standartized CI	p
ასაკი	0.16	0.10 – 0.23	<0.001
სქესი: ქალი vs მამაკაცი	0.12	0.06 – 0.18	<0.001
საბაზისო განათლება vs დაწყებითი განათლება	0.22	0.02 – 0.41	0.032
პროფესიული განათლება vs დაწყებითი განათლება	0.65	0.03 – 1.28	0.040
სამედიცინო სფეროს მიმართ ნდობა	0.14	0.04 – 0.23	0.006

ისეთი დამოუკიდებელი დემოგრაფიული ცვლადები, როგორებიცაა - ასაკი, საცხოვრებლის ტიპი, სქესი - გავლენას ახდენს კოვიდ-19-თან გამკლავების ემოციურ აღქმაზე:

- რაც უფრო იზრდება რესპონდენტის ასაკი, მით უფრო მაღალია ვირუსით დაინფიცირების ალბათობის აღქმა. აგრეთვე, იმის აღქმა, რომ, დაინფიცირების შემთხვევაში უფრო რთულად გადაიტანენ ვირუსს.
- ქალაქის ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებს დაინფიცირების ალბათობის უფრო ძლიერი აღქმა აქვთ, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებების მაცხოვრებლებს.
- ქალები, კაცებთან შედარებით, მიიჩნევენ, რომ უფრო რთულად გადაიტანენ ვირუსს.

მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ფაქტორია, აგრეთვე, ვირუსის სიახლოვის და ვირუსის სწრაფად გავრცელების შეგრძნება: რაც უფრო მათთან ახლო მყოფად აღიქვამენ კორონავირუსს რესპონდენტები და ფიქრობენ, რომ ვირუსი სწრაფად ვრცელდება, მით უფრო მიიჩნევენ, რომ დაინფიცირების ალბათობა მაღალია და ვირუსს რთულად გადაიტანენ.

გარდა ამისა, ვირუსის გადატანის სირთულეზე ის რესპონდენტები უფრო მიანიშნებენ, ვინც პანდემიის პირობებში სამსახური დაკარგა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ რესპონდენტებს, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურებს ენდობიან, უფრო გამმაფრებული აქვთ ვირუსის მიმართ დაცულობის შეგრძნება; ხოლო მათ, ვინც სამედიცინო სექტორს ენდობა, უფრო მეტად აქვს ვირუსის მიმართ დაცულობის შეგრძნება.

	დაინფიცირების ალბათობა	ვირუსის გადატანის სიმარტივე / სირთულე	ვირუსის მიმართ დაცულობა / დაუცველობა
--	------------------------	---------------------------------------	--------------------------------------

	Bet a	standartize d CI	p	Bet a	standartize d CI	p	Bet a	standartize d CI	p
ასაკი	0.12	0.02 – 0.22	0.023	0.17	0.08 – 0.27	<0.001			
ურბანული VS სასოფლო დასახლება	0.08	0.01 – 0.16	0.030						
სქესი: ქალი				.10	0.03 – 0.17	0.004			
სამთავრობო სტრუქტურები ს მიმართ ნდობა	- 0.15	-0.24 – -0.05	0.002						
სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა							0.13	0.06 – 0.21	0.001
ვირუსის სიახლოვის შეგრძნება	0.20	0.12 – 0.28	<0.001	0.17	0.10 – 0.24	<0.001			
პანდემიის დროს სამსახურის დაკარგვა VS სამსახურის შენარჩუნება				0.07	0.00 – 0.14	0.050			

7. ატიტუდები კოვიდ-19-ის მიმართ

რესპონდენტთა დამოკიდებულებები კორონავირუსის ინფექციის მიმართ იცვლება სამი ტალღის შუქზე; კერძოდ:

- 76.8% პირველ ტალღაში, 60.4% მეორე ტალღაში, ხოლო 48.8% მესამე ტალღაში აღნიშნავს, რომ ვირუსი ვრცელდება სწრაფად (ქულები 5, 6 და 7, შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „ვრცელდება ნელა“, ხოლო 7 – „ვრცელდება სწრაფად“);
- 73% პირველ ტალღაში, 70.4% მეორე ტალღაში, ხოლო 68.9% მესამე ტალღაში მიუთითებს, რომ კორონა საშიში ვირუსია (ქულები 1, 2 და 3 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „საშიშია“, ხოლო 7 – „არ არის საშიში“);
- პირველი ტალღის რესპონდენტთა 73.1%-ის, მეორე ტალღის რესპონდენტთა 67.4%-ის, ხოლო მესამე ტალღის რესპონდენტთა 65.1%-ის აზრით, კორონავირუსის გავრცელება ნერვიულობის საფუძველს იძლევა (ქულები 1, 2 და 3 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „სანერვიულოა“, ხოლო 7 – „არ არის სანერვიულო“);
- პირველი ტალღის რესპონდენტთა 55.7%, მეორე ტალღის რესპონდენტთა თითქმის იგივე რაოდენობა (56.3%), ხოლო მესამე ტალღის გამოკითხულთა 51.5% არ თვლის, რომ კორონა ინფექციის ირგვლივ განვითარებული მოვლენები მედიის მიერ


გაზვიადებულია (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „მედიის მიერ გაზვიადებულია“, ხოლო 7 – „არ არის მედიის მიერ გაზვიადებული“).

როგორც მონაცემები აჩვენებს, პირველ ტალღის, მეორე ტალღისა და მესამე ტალღის მონაცემებს შორის **სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსვლა** ფიქსირდება სხვადასხვა შემთხვევაში:

- მესამე ტალღის რესპონდენტთა შორის ყველაზე ნაკლები რესპონდენტია დარწმუნებული იმაში, რომ ვირუსი სწრაფად ვრცელდება;
- მეორე და მესამე ტალღების რესპონდენტთა შორის, პირველ ტალღასთან შედარებით, ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ ვირუსი ნერვიულობის საფუძველს იძლევა.

ეს განსხვავებები უნდა აიხსნას **საქართველოში განვითარებული მოვლენების კონტექსტით**: საქართველოში ვირუსის გავრცელების ტემპმა იკლო და მას მასშტაბური ლეტალური შედეგები მოჰყოლია.

დიაგრამა #17



8. მზაობა დამცავი ზომების გასატარებლად, შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში¹


საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 27 აპრილიდან დაიწყო შეზღუდვების თანდათან მოხსნა/შემსუბუქება. ამ ვითარებაში, ერთიორად მნიშვნელოვანია დაინფიცირებისგან დამცავი ზომების ნებაყოფლობით გატარება, რაც სამოქალაქო თვითშეგნების მაღალ დონეს მოითხოვს. რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ რამდენად დაიცავენ პრევენციულ ზომებს შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში? ლაპარაკია ისეთ ზომებზე, როგორებიცაა:

- სოციალური დისტანციის დაცვა
- ხელის ჰიგიენის დაცვა
- პირბადის ტარება
- სახლში დარჩენა, თუ სახლიდან გასვლა აუცილებლობით არ არის გამოწვეული
- ხველების/დაცემინების ეტიკეტის დაცვა
- ხალხმრავალ (მათ შორის, რელიგიურ) რიტუალებში მონაწილეობისგან თავის შეკავება, როცა დისტანციის დაცვა შეუძლებელია

გამოკითხვა აჩვენებს საინტერესო ვითარებას: მესამე ტალღაში, მეორე ტალღასთან შედარებით, რამდენადმე შესუსტდა დამცავი ზომების გატარების მიმართ რესპონდენტთა მზაობა; კერძოდ, თუ მეორე ტალღის რესპონდენტთა 90%-ზე მეტი გამოთქვამს მზადყოფნას (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „საერთოდ არ დავიცავ“, ხოლო ქულა 7 – „აუცილებლად დავცავ“), რათა შეასრულოს ზემოაღნიშნული პრევენციული ზომები, მესამე ტალღაში რესპონდენტთა მზადყოფნამ 10%-ის ფარგლებში მოიკლო (თუმცა, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა კვლავ ლოიალურია დამცავი ზომების გატარების მიმართ). ამ ტენდენციას კარგად აჩვენებს, აგრეთვე, გამოკითხვის შედეგების საშუალო მაჩვენებლები. როგორც ჩანს, უსაფრთხოების ნებაყოფლობითი (ანუ თვითშეგნებაზე დაფუძნებული) უზრუნველყოფა ვერ აღმოჩნდა ოფიციალური რეგულაციებით განპირობებული იძულების ტოლმადლოვანი ალტერნატივა (იხ. დიაგრამა #).

¹ ეს ცვლადები ეხებოდა მხოლოდ მეორე და მესამე ტალღებს

დიაგრამა #18



რესპონდენტთა მზაობაზე, დაიცვან სოციალური დისტანცია და თავი აარიდონ თავშეყრის ადგილებს, გავლენას ახდენს შემდეგი დამოუკიდებელი ცვლადები: სქესი, სამედიცინო სექტორის, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა, ვირუსის გავრცელების სიჩქარის აღქმა, საკუთარი დაუცველობის შეგრძნება, მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე და მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა:

სოციალური დისტანციის დაცვის მზადყოფნას უფრო მეტად გამოხატავენ:

- ✓ ქალები
- ✓ ისინი, ვინც სამედიცინო სექტორს ენდობა
- ✓ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ კორონავირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ ისინი, ვისაც კორონავირუსის მიმართ დაუცველობის შეგრძნება აქვს
- ✓ ისინი, ვინც ხშირად იყენებს მედია საშუალებებს ვირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად
- ✓ ისინი, ვინც მედიას არ აბრალებს ვირუსის გაზვიადებულ წარმოჩენას

თავშეყრის ადგილებისგან თავის არიდების მზადყოფნას უფრო მეტად გამოხატავენ:

- ✓ ქალები
- ✓ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ კორონავირუსი სწრაფად ვრცელდება
- ✓ ისინი, ვინც სამედიცინო სექტორს ენდობა
- ✓ ისინი, ვინც ხშირად იყენებს მედია საშუალებებს ვირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად
- ✓ ისინი, ვინც მედიას არ აბრალებს ვირუსის გაზვიადებულ წარმოჩენას

	სოციალური დისტანციის მზაობა			თავშეყრის ადგილებისგან თავის არიდების მზაობა		
	Beta	standartized CI	p	Beta	standartized CI	p
სქესი: ქალი	0.11	0.04 – 0.18	0.003	0.14	0.07 – 0.22	<0.001
სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა	0.19	0.11 – 0.27	<0.001			
სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა				0.14	0.06 – 0.21	0.001
ვირუსის გავრცელების სიჩქარის აღქმა	0.14	.06 – 0.21	<0.001	0.12	0.05 – 0.20	0.001
საკუთარი დაუცველობის შეგრძნება	0.09	0.01 – 0.16	0.021			
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.17	0.09 – 0.25	<0.001	0.17	0.10 – 0.25	<0.001
მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა	-0.13	-0.20 – -0.05	0.001	-0.12	-0.20 – -0.04	0.002

9. მკაცრი პრევენციული ზომების მიმდებლობა

ისევე როგორც პირველი და მეორე ტალღის ფარგლებში, მესამე ტალღაშიც რესპონდენტები ემხრობიან ზოგიერთი მკაცრი ზომის გატარებას კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის (ქულები 5, 6, 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო ქულა 7 – „სრულიად ვეთანხმები“); თუმცა, მკაცრი ზომების მიმართ მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შემცირებულია მესამე ტალღაში; კერძოდ:

- სახლიდან გასვლა მხოლოდ პროფესიული, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან გადაუდებელი მიზეზებით უნდა იყოს დაშვებული (ეთანხმება: პირველი ტალღა - 80.6%; მეორე ტალღა - 74%; მესამე ტალღა - 55.1%)
- ვირუსის გავრცელების დროს სასურველია, ზოგიერთ ადამიანთან შევწყვიტოთ კონტაქტი, მათი წარმოშობის ქვეყნის მიხედვით (ეთანხმება: პირველი ტალღა - 73.3%; მეორე ტალღა - 72.7%; მესამე ტალღა - 54.8%)

ზემოაღნიშნული ზომების მხარდაჭერის მიუხედავად, რესპონდენტები, სამივე ტალღაში, მხარს არ უჭერენ ზედმეტად მკაცრი/ავტორიტარული ზომების გატარებას. აღსანიშნავია, რომ მესამე ტალღის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები კიდევ უფრო ნაკლებად ეთანხმებიან ზედმეტად მკაცრი ისეთი ზომის გატარებას, როგორიცაა მთავრობის მიერ ახალი კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე წვდომის აკრძალვა (ეთანხმება: პირველი ტალღა 39.4%; მეორე ტალღა - 30.7%; მესამე ტალღა - 23%. არ ეთანხმება: პირველი ტალღა - 42.4%; მეორე ტალღა - 53.2%; მესამე ტალღა - 59%)

ცხრილი #2

	პირველი ტალღა (MEAN 7 ქულიან სკალაზე)	მეორე ტალღა (MEAN 7 ქულიან სკალაზე)	მესამე ტალღა (MEAN 7 ქულიან სკალაზე)
ვირუსის გავრცელების დროს სასურველია, ზოგიერთ ადამიანთან შევწყვიტოთ კონტაქტი, მათი წარმოშობის ქვეყნის მიხედვით	5.80	5.74	4.73
ახალი კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობამ ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე წვდომა უნდა აკრძალოს	3.82	3.27	2.83
სახლიდან გასვლა მხოლოდ პროფესიული, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან გადაუდებელი მიზეზებით უნდა იყოს დაშვებული	6.03	5.61	4.64
ვფიქრობ, ამჟამად მიღებული ზომები მნიშვნელოვნად გაზვიადებულია / გადამეტებულია	3.46	3.28	3.01

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტთა მიერ მკაცრი ზომების მიმღებლობას განსაზღვრავს ისეთი დამოუკიდებელი ცვლადები, როგორებიცაა: სამედიცინო სტრუქტურების მიმართ ნდობა, სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა, მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე, მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა, ვირუსის გავრცელების სიჩქარის აღქმა და ა.შ.

როგორც წესი, მკაცრი ზომების გატარებას უფრო მეტად ისინი უჭერენ მხარს, ვისაც:

- სამედიცინო სტრუქტურების მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- სამთავრობო სტრუქტურების მიმართ მაღალი ნდობა აქვს
- აქვს განცდა, რომ ვირუსს რთულად გადაიტანს
- აქვს განცდა, რომ ვირუსი სწრაფად ვრცელდება
- ხშირად იყენებს მედია საშუალებებს კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად
- არ სჯერა, რომ ვირუსის გარშემო განვითარებული მოვლენები მედიის მიერ გაზვიადებულია

	მაგალითი: სახლიდან გასვლა მხოლოდ პროფესიული, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან გადაუდებელი მიზეზებით უნდა იყოს დაშვებული		
	Beta	standartized CI	p
სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა	0.17	0.10 – 0.24	<0.001
მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებული წარმოჩენის აღქმა	-0.20	-0.27 – -0.13	<0.001
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.09	0.02 – 0.16	0.013
ვირუსის გავრცელების სიჩქარის აღქმა	0.11	0.05 – 0.18	0.001

10. დაცვითი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება

რესპონდენტებმა სამივე ტალღაში დააფიქსირეს, რა ქმედებები განახორციელეს, ან აპირებენ რომ განახორციელონ, რათა თავი უფრო დაცულად იგრძნონ კოვიდ-19 ინფექციის წინაშე. ეს ქმედებები ეხება სხვადასხვა სოციალურ აქტივობას.

სამივე ტალღის კვლევების შედეგების ანალიზი და შედარება აჩვენებს, რომ **მესამე ტალღაში, პირველ და მეორე ტალღასთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც უკვე განახორციელა ან დაგეგმა დაცვითი ქმედებების შესრულება, როგორებიცაა:**

- დამატებით იმ მედიკამენტების შეძენა, რომლებსაც რეგულარულად არ მოიხმარენ
- დამატებითი მედიკამენტების შეძენა, რომლებსაც რეგულარულად მოიხმარენ
- სოციალურ ღონისძიებებში არმონაწილეობა
- ოჯახის წევრების არნახვა
- სტუმრების არმიღება (იგულისხმება ოჯახის წევრები და მეგობრები)
- ოჯახის არასრულწლოვანი წევრებისთვის მეგობრებთან შეხვედრის აკრძალვა

მოსახლეობაში **ტაბუ** განსაკუთრებით მოიხსნა ისეთ სოციალურ აქტივობებზე, როგორებიცაა:

ა) სტუმრების არმიღება (პირველ ტალღაში სტუმრებს არ იღებდა 44%, მეორე ტალღაში - 41%, ხოლო მესამე ტალღაში - 30%) და ბ) ოჯახის არასრულწლოვანი წევრებისთვის მეგობრებთან შეხვედრის აკრძალვა (პირველ ტალღაში აკრძალვას აწესებდა 61%, მეორე ტალღაში - 54%, ხოლო მესამე ტალღაში - 48%). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ **პრევენციული სოციალური აქტივობების მიმართ მოსახლეობის ყურადღება მოდუნდა.**


მესამე ტალღაში რესპონდენტებს დამატებით დაესვათ შეკითხვები **სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა:**

- ექიმთან ვიზიტის გადადება
- ვაქცინაციის გადადება
- ოჯახის წევრის ვაქცინაციის გადადება
- ნაკლები ვარჯიში (ფიზიკური აქტივობა)
- უფრო მეტი ალკოჰოლის მოხმარება, ვიდრე ჩეულებრივ
- უფრო მეტი არაჯანსაღი საკვების მიღება, ვიდრე ჩეულებრივ


გამოკითხვა აჩვენებს, რომ **ყველაზე მეტად რესპონდენტებს მოუწიათ ექიმთან ვიზიტის გადადება:** ვიზიტი გადადო (ან, აპირებს, რომ გადადოს) რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23.6%); რესპონდენტთა 17.6% საუბრობს იმის შესახებ, რომ მოუწიათ (ან მოუწევთ) უფრო მეტად **არაჯანსაღი საკვების** მიღება, ვიდრე ეს ჩეულებრივ ხდებოდა. 15.4% კი მიუთითებს იმაზე, რომ ჩეულებრივზე ნაკლებად **დაიტვირთა (ან დაიტვირთება) ფიზიკურად.** გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ვაქცინაციის გადადება ან ალკოჰოლის

მოხმარების გაზრდა კორონაპანდემიის ნაკლებად აქტუალურ სოციალურ შედეგებს წარმოადგენს.

დიაგრამა #19



დიაგრამა #20



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ თავდაცვითი/პრევენციული ზომების განხორციელებაზე ისეთი ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორებიცაა: სქესი, ასაკი, სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა, მედიის მოხმარების სიხშირე და ვირუსის სიახლოვის აღქმა:

- ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მეტად იცავენ პრევენციულ ზომებს.
- ასაკის ზრდასთან ერთად, მცირდება თავდაცვითი ზომების განხორციელების პრაქტიკა
- სამთავრობო უწყებების მიმართ ნდობა დადებითად აისახება პრევენციული ზომების განხორციელებაზე
- რაც უფრო ახლოდ აღიქვამენ რესპონდენტები ვირუსს, მით უფრო მისდევენ თავდაცვით წესებს
- რაც უფრო ხშირად იღებენ რესპონდენტები ვირუსის შესახებ ინფორმაციას მედია საშუალებებით, მით უფრო იცავენ პრევენციულ ზომებს


	თავდაცვითი ზომების განხორციელება		
	Beta	standartized CI	p
სქესი: ქალი	0.19	0.12 – 0.26	<0.001
ასაკი	-0.10	-0.17 – -0.03	0.004

სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა	0.21	0.10 – 0.32	<0.001
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.09	0.02 – 0.16	0.015
ვირუსის სიახლოვის შეგრძნება	0.09	0.02 – 0.16	0.015

11. კოვიდ-19-ის შესახებ ინფორმაციის მიღების სიხშირე, ინფორმაციით კმაყოფილება და ინფორმაციის საჭიროება


1. სამივე ტალღის კვლევაში რესპონდენტთა 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ხშირად იღებს ინფორმაციას ახალი კორონავირუსის შესახებ (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 ნიშნავს „არასოდეს“, ხოლო 7 – „ძალზე ხშირად (სისტემატურად)“). თუმცა, პირველ ორ ტალღასთან შედარებით, მესამე ტალღაში იკლებს იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც ინფორმაციას ძალზე ხშირად (სისტემატურად) იღებს (ქულა 7-ს პირველ ტალღაში ირჩევს 67%, მეორე ტალღაში - 59.7%, ხოლო მესამე ტალღაში - 54.2%). ასეთი დინამიკა იმით უნდა აიხსნას, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული ბევრი ინფორმაციით საზოგადოება უკვე გაჯერებულია და ყოველდღიურ სიახლეებს ნაკლებად ელოდება.

დიაგრამა #21



2. ამავე დროს, სამივე ტალღის კვლევაში რესპონდენტთა დაახლოებით 90% კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ინფორმაციის მიმართ, რომელსაც ისინი იღებენ კოვიდ-19-ის შესახებ (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 ნიშნავს „ძალიან უკმაყოფილოს“, ხოლო 7 – „ძალიან კმაყოფილს“)

დიაგრამა #22



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ საინფორმაციო წყაროების მეშვეობით მიღებული ინფორმაციით კმაყოფილება დამოკიდებულია სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობაზე, მედიის გამოყენების სიხშირესა და ნდობაზე, აგრეთვე, პანდემიის დროს სამსახურის დაკრგვის ფაქტორზე:


- რაც უფრო დიდია სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა, რესპონდენტები მიღებული ინფორმაციითაც მეტად არიან კმაყოფილნი.
- რაც უფრო ხშირად იყენებენ რესპონდენტები მედიას, მით უფრო კმაყოფილები არიან მიღებული ინფორმაციით (მედიის მოხმარების სიხშირე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ინფორმაციით კმაყოფილებაზე).
- რა უფრო მეტად ენდობიან რესპონდენტები მედიას, მით უფრო კმაყოფილები არიან მედიით მიღებული ინფორმაციით
- ისინი უფრო კმაყოფილნი არიან მიღებული ინფორმაციით, ვინც პანდემიის დროს სამსახური დაკარგა

	მიღებული ინფორმაციით კმაყოფილება		
	Beta	standartized CI	p
სამედიცინო სექტორის მიმართ ნდობა	0.18	0.10 – 0.27	<0.001
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.27	0.20 – 0.34	<0.001
მედიის მიმართ ნდობა	0.09	0.01 – 0.17	0.031
პანდემიის დროს სამსახურის დაკარგვა vs სამსახურის შენარჩუნება	0.07	0.01 – 0.14	0.034

3. კორონავირუსის შესახებ მიღებული ინფორმაციით კმაყოფილების მიუხედავად, სამივე ტალღაში, გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს იმის საჭიროებას, რომ მიიღოს

განახლებული/დამატებითი ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ა) კორონავირუსის სიმპტომები; ბ) ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინისა და სამკურნალო პრეპარატის შემუშავებასთან დაკავშირებული სამეცნიერო პროგრესი; გ) როგორაა შესაძლებელი დაავადების გავრცელების თავიდან არიდება/პრევენცია; დ) როგორ უნდა ვიზრუნოთ რისკ ჯგუფში მყოფ ადამიანზე; ე) როგორ უნდა ვიზრუნოთ ოჯახის არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის განათლებაზე; ვ) მგზავრობის შეზღუდვის დეტალები; ზ) სხვების პირადი ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდებიან არსებულ ვითარებას.

დიაგრამა #23




12. გამოსავალი გადაუდებელი ვითარებიდან

12.1. სამივე ტალღის რესპონდენტები ერთნაირ გამოსავალს ნახულობენ იმ გადაუდებელი ვითარებიდან, თუკი მათ ან მათი ოჯახის წევრებს ისეთი სიმპტომები გაუჩნდებათ, როგორებიცაა სიცხე, ხველება, სუნთქვის პრობლემები და სხვა. კერძოდ:

- ყველაზე პრიორიტეტულია 112-ის ცხელ ხაზზე დარეკვა: რესპონდენტთა უმრავლესობა (პირველი ტალღა - 71.4%; მეორე ტალღა - 71.6%; მესამე ტალღა - 76.8%) აცხადებს, რომ, 112-ის ცხელ ხაზზე დარეკავს.
- პირად ექიმს დაურეკავს პირველი ტალღის რესპონდენტების 27.3%, მეორე ტალღის რესპონდენტების 23.8%, ხოლო მესამე ტალღის რესპონდენტების 24.9%
- 144-ის ცხელ ხაზს გამოიყენებს პირველი ტალღის რესპონდენტების მეხუთედი (19.4%), მეორე ტალღის რესპონდენტების მეოთხედი (25.4%), ხოლო მესამე ტალღის რესპონდენტების 19%
- საავადმყოფოში წასვლას გეგმავს პირველი ტალღის რესპონდენტთა 11.3%, მეორე ტალღის რესპონდენტთა 7.5%, ხოლო მესამე ტალღის რესპონდენტთა 8.6%)


დიაგრამა #24



12.2. გადაადგილებასთან ან მარაგთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა, ერთი მხრივ, პირველ და, მეორე მხრივ, მომდევნო ტალღებს შორის: მეორე და მესამე ტალღებში ყველაზე უფრო მისაღები აღმოჩნდა 144-ის

ცხელ ხაზზე დარეკვა - მეორე ტალღა 34.5%, მესამე ტალღა - 31% (რაც ადეკვატური მისამართია), მაშინ როდესაც პირველი ტალღის რესპონდენტები უპირატესობას 112-ის ცხელ ხაზს ანიჭებენ (28.1%). სამივე ტალღის რესპონდენტების თითქმის იდენტური რაოდენობა (მეოთხედი) მეგობრებთან/ნათესავთან დარეკვას ირჩევს.

დიაგრამა #25



13. ნდობა სხვადასხვა სტეიკჰოლდერის მიმართ

13.1. მესამე ტალღის კვლევამ პრაქტიკულად გაიმეორა მეორე ტალღის (და, მნიშვნელოვანწილად, პირველი ტალღის) შედეგები: ირესპონდენტთა უმრავლესობამ დაასახელა ის ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებიც, მათი აზრით, კარგად ართმევენ თავს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებს და, შესაბამისად, **მაღალი ნდობით** სარგებლობენ (ქულები 5, 6, და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო ქულა 7 – „სრულიად ვენდობი“):

- საავადმყოფოები, რომელიც კორონავირუსით დაინფიცირებულ ადამიანებს მკურნალობენ (პირველი ტალღა - 86.7%; მეორე ტალღა - 90.7%; მესამე ტალღა - 90.7%)
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (პირველი ტალღა - 89.2%; მეორე ტალღა - 89.2%; მესამე ტალღა - 89.8%)


- ჯანდაცვის სამინისტრო (პირველი ტალღა - 86.2%; მეორე ტალღა - 88.8%; მესამე ტალღა - 88.9%)
- ცხელების ცენტრები (პირველი ტალღა - 75.2%; მეორე ტალღა - 85.1%; მესამე ტალღა - 85.4%)
- კორონავირუსთან დაკავშირებული საკოორდინაციო საბჭო (პირველი ტალღა - 77.3%; მეორე ტალღა - 82%; მესამე ტალღა - 83.7%)
- ადგილობრივი ხელისუფლება (პირველი ტალღა - 71.1%; მეორე ტალღა - 73.7%; მესამე ტალღა - 77.1%)
- 112-ის მიერ რეკომენდირებული ექიმი (პირველი ტალღა - 71%; მეორე ტალღა - 73.1%; მესამე ტალღა - 75.3%)
- სამინისტროები/სერვისები, რომლებიც საზოგადოებრივ მშვიდობას/უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (მაგ.: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) (პირველი ტალღა - 64.7%; მეორე ტალღა - 74.7%; მესამე ტალღა - 73.3%)
- მედია (პირველი ტალღა - 58.1%; მეორე ტალღა - 64.2%; მესამე ტალღა - 70.1%)
- სამინისტროები, რომლებიც საკვებსა და მედიკამენტებს უზრუნველყოფენ (მაგ.: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) (პირველი ტალღა - 57.8%; მეორე ტალღა - 66.9%; მესამე ტალღა - 68.2%)
- განათლების სამინისტრო (პირველი ტალღა - 56.3%; მეორე ტალღა - 61.1%; მესამე ტალღა - 66.7%)

13.2. არსებობს სტეიკჰოლდერების მეორე ჯგუფი, რომლებიც რესპონდენტთა ძირითად ნაწილში ნდობას იმსახურებს, თუმცა, ეს ნდობა, სხვა სტრუქტურებთან შედარებით, ნაკლებია (მიუხედავად ამისა, აქაც მზარდია):

- სკოლები (პირველი ტალღა - 52.6%; მეორე ტალღა - 58.3%; მესამე ტალღა - 63.7%)
- უნივერსიტეტები (პირველი ტალღა - 52%; მეორე ტალღა - 56.8%; მესამე ტალღა - 60.2%)
- ბაღები (პირველი ტალღა - 50.6%; მეორე ტალღა - 53.4%; მესამე ტალღა - 57.4%)

13.3. კვლევაში დაფიქსირდა ერთი სტეიკჰოლდერი - კერძო კომპანიები/ბიზნესი, რომლის მიმართ ნდობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია სამივე ტალღაში (პირველი ტალღა - 37.1%, მეორე ტალღა - 44%; მესამე ტალღა - 44.3%).

დიაგრამა #26



კორონავირუსის წინააღმდეგ მომუშავე სტრუქტურების მიმართ ნდობაზე, რომ კარგად გაართმევნ თავს ვირუსით გამოწვეულ პრობლემებს, ყველაზე დიდ გავლენას მედიის გამოყენების სიხშირე ახდენს. როგორც აღმოჩნდა, რაც უფრო მზარდია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების გამოყენების სიხშირე, მით უფრო მეტად იზრდება ნდობა შემდეგი სტრუქტურების მიმართ: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, ჯანდაცვის სამინისტრო, კორონავირუსთან დაკავშირებული საკოორდინაციო საბჭო, ადგილობრივი ხელისუფლება.

გარდა ამისა, საინტერესოა ცალკეული კორელაციები:

- რაც უფრო ინტენსიურია რესპონდენტებში ვირუსის სიახლოვის შეგრძნება და რაც უფრო იზიარებენ ისინი მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებულად წარმოჩენას, მით უფრო ნაკლებია რესპონდენტებში ნდობა ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ.
- რაც უფრო სწრაფად გავრცელებად ვირუსად მიიჩნევენ ინდივიდები კორონავირუსს, მით უფრო მაღალია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობა.
- რესპონდენტთა წუხილები კორონავირუსის გამო იწვევს ნდობას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და სხვ.

	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიმართ ნდობა			ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ ნდობა			კორონავირუსთან დაკავშირებული საკოორდინაციო საბჭოს მიმართ ნდობა			ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობა		
	Beta	St. CI	p	Beta	St. CI	p	Beta	St. CI	p	Beta	St. CI	p
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.19	0.11 – 0.27	<0.001	0.13	0.05 – 0.22	0.002	0.22	0.14 – 0.30	<0.001	0.10	0.02 – 0.19	0.018

მედიის მიერ ვირუსის გაზვიადებულად წარმოჩენის აღქმა				-0.09	-0.17 -- 0.01	0.032	-0.08	0.16 -- 0.00	0.063	-0.14	-0.22 -- 0.05	0.001
ვირუსის სიახლოვის შეგრძნება				-0.09	-0.17 -- 0.01	0.033						
ვირუსის სწრაფად გავრცელების აღქმა	0.08	0.01 -- 0.16	0.034									
ვირუსის გამო წუხილები	0.17	0.06 -- 0.28	0.002	0.15	0.04 -- 0.26	0.007				0.19	0.11 -- 0.27	<0.001
ვირუსის საშიშად მიჩნევა							0.18	0.10 -- 0.26	<0.001			
ინფექციის თავიდან აცილების იოლად მიჩნევა										0.12	0.04 -- 0.20	0.003


14. მთავრობის საქმიანობის შეფასება

14.1. ზოგადი შეფასება

გამოკითხულთა უმრავლესობა, სამივე ტალღაში, ეთანხმება მოსაზრებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომები ადეკვატურია (ქულები 5, 6, და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 7 – „სრულიად ვეთანხმები“). თუმცა, საინტერესოა ტალღებს შორის განსხვავებაც: მეორე და მესამე ტალღებში მთავრობის მიერ გატარებული ზომების პოზიტიური შეფასება რამდენადმე შემცირდა (პირველ ტალღაში პოზიტიურ შეფასებას იზიარებს 83.9%, მეორე ტალღაში - 76.3% და თითქმის იგივე რაოდენობა მესამე ტალღაში - 76.5%). შესაბამისად, მცირედით გაიზარდა მთავრობის მიერ გატარებული ზომებით უკმაყოფილოთა რაოდენობა (პირველ ტალღაში - 3.4%. მეორე ტალღაში - 6.5%, მესამე ტალღაში - 7.6%).

დიაგრამა #27

მთავრობის (სახელმწიფოს) მიერ მიღებული ზომები ადეკვატურია
(MEAN შვიდ ქულიან სკალაზე: ქულა 1 - "სრულიად არ ვეთანხმები";
ქულა 7 - "სავსებით ვეთანხმები")



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომების ადეკვატურობის აღქმა დამოკიდებულია რესპონდენტის საცხოვრებლის ტიპზე, სამთავრობო სტრუქტურების მმართ ნდობაზე; აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედიის როლის აღქმა და მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე:

- ქალაქის ტიპის დასახლებაში მაცხოვრებელი რესპონდენტები, სასოფლო დასახლებების მაცხოვრებლებთან შედარებით, უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები ადეკვატურია.
- რაც უფრო იზრდება ნდობა სამთავრობო უწყებების მიმართ, მით უფრო მეტად ფასდება მთავრობის მიერ მიღებული ზომები, როგორც ადეკვატური.
- რესპონდენტები, რომლებიც კორონავირუსის გარშემო განვითარებულ მოვლენებს მედიის მიერ გაზვიადებულად მიიჩნევენ, მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ნაკლებად ადეკვატურად აფასებენ.
- მეორე მხრივ, რესპონდენტები, რომლებიც ხშირად იყენებენ მედია საშუალებებს კოვიდ-19-ის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მთავრობის მიერ მიღებული ზომების ადეკვატურობაში დარწმუნებულები არიან.

	მთავრობის (სახელმწიფოს) მიერ მიღებული ზომები ადეკვატურია		
	Beta	standartized CI	p

საცხოვრების ტიპი (ურბანული/რურალური)	0.10	0.03 – 0.16	0.003
სამთავრობო სტრუქტურების მიმართ ნდობა	0.31	0.21 – 0.41	<0.001
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე	0.10	0.03 – 0.17	0.003
მედიის მიერ ვირუსის გავრცელებულად წარმოჩენის აღქმა	-0.16	-0.22 – -0.09	<0.001


14.2. შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის მხარდაჭერა²

14.2.1. მესამე ტალღაში კიდევ უფრო გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, ვინც ეთანხმება დებულებას, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმა შეზღუდვების ეტაპობრივი (2 კვირის შუალედებით) მოხსნის შესახებ არსებული ვითარების შესაბამისია (მეორე ტალღა 58.5%; მესამე ტალღა - 62.3%). მესამე ტალღაში გაიზარდა მათი რაოდენობაც, ვინც შეზღუდვების უფრო ფართოდ და სწრაფად მოხსნას მხარს უჭერს (მეორე ტალღა - 14%. მესამე ტალღა - 19.9%); შესაბამისად, შემცირდა მათი რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ შეზღუდვები უფრო ნელა უნდა მოიხსნას (მეორე ტალღა - 18.2%.; მესამე ტალღა - 13%) დებულებას - არსებული შეზღუდვები, ამ ეტაპზე, საერთოდ არ უნდა მოიხსნას - მესამე ტალღაში ეთანხმება მხოლოდ 0.6% (მეორე ტალღაში - 3.3%). **უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწესებული შეზღუდვების მიმართ მოსახლეობის რეზისტენტობის ზრდას, პირველ რიგში, აქვს ეკონომიკური მოტივაცია:** ადამიანებს, შემოსავლის მისაღებად, დასაქმება ესაჭიროებათ, რომელიც, მკაცრი შეზღუდვების პირობებში, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. გარდა ამისა, გასათაღისწინებელია **ფსიქოლოგიური** ფაქტორიც: ემოციური სტაბილურობისთვის ადამიანებს ესაჭიროებათ ფიზიკური სოციალური კავშირების აღდგენა, განსაკუთრებით, პირველადი ჯგუფების (ოჯახის წევრები, მეგობრები) წევრებთან.

დიაგრამა #28

² ეს საკითხები ჩართული იყო მხოლოდ კვლევის მეორე და მესამე ტალღებში.

**რომელ დებულებას ეთანხმებით მთავრობის მიერ მიღებულ
ლონისძიებათა შემსუბუქების გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც
ითვალისწინებს ორი კვირის შუალედებით შეზღუდვების
ეტაპობრივ მოხსნას?**



რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შემსუბუქების გეგმის შეფასებაზე გავლენას ახდენს ისეთი ცვლადები/ფაქტორები, როგორებიცაა კოვიდ-19 გამკლავების ემოციური აღქმა, ორონავირუსთან დაკავშირებული ატიტუდები და წუხილები, აგრეთვე, მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე:

- რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ კოვიდ-19 საშიში ვირუსია, შეზღუდვების უფრო ნელა მოხსნას უჭერენ მხარს.
- ასევე, რაც უფრო დაუცველად აღიქვამს რესპონდენტი თავს ვირუსის წინააღმდეგ, მით უფრო ემხრობა შეზღუდვების ნელა მოხსნას
- ის, რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ვირუსს იოლად გადაიტანენ, შეზღუდვების უფრო სწრაფად მოხსნას ემხრობიან
- ვირუსთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური წუხილების გაზიარება რესპონდენტებს შეზღუდვების უფრო სწრაფი მოხსნისკენ განაწყობს.
- საინტერესოა, რომ რაც უფრო მეტად აქვთ რესპონდენტებს იმის შეგრძნება, რომ კორონავირუსი მათთან ახლოსაა, მით უფრო იზიარებენ შეხედულებას შეზღუდვების სწრაფი მოხსნის შესახებ (აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია მესამე ტალღის თავისებურებაა, მეორე ტალღაში პირიქით იყო).

- რესპონდენტები, რომლებიც მედია საშუალებებს ხშირად იყენებენ ვირუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, შეზღუდვების სწრაფად მოხსნას უჭერენ მხარს.

	შეზღუდვების ნელი მოხსნა			შეზღუდვების სწრაფი მოხსნა		
	OR	standartized CI	p	OR	CI	p
ვირუსის საშიშად მიჩნევა	0.82	0.72 – 0.94	0.004			
ვირუსის სიახლოვის აღქმა				0.85	0.74 – 0.98	0.028
ვირუსის გადატანის სიიოლის აღქმა				0.81	0.70 – 0.93	0.003
ვირუსის წინააღმდეგ თავის დაუცველად აღქმა	0.85	0.74 – 0.98	0.023			
ვირუსთან დაკავშირებული წუხილები				0.81	0.70 – 0.93	0.003
მედია საშუალებების გამოყენების სიხშირე				0.87	0.76 – 0.99	0.039

15. რესპონდენტების განცდები/წუხილები

იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების ინფორმირებულობა და ცნობადობა კორონავირუსთან მიმართებით გაზრდილია, ისინი უფრო ნაკლებად განიცდიან საყვარელი ადამიანის დაკარგვის საფრთხეს. თუკი პირველ ტალღაში 75.6% აღნიშნული საკითხის გამო წუხდა, მესამე ტალღაში ეს მაჩვენებელი 69.9%-მდე შემცირებული (მეორე ტალღა - 72.1% (5, 6, 7 ქულები 7 ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 აღნიშნავს “საერთოდ არ განვიცდი”, ხოლო 7 – „ძალიან განვიცდი“).

რამდენიმე შეზღუდვის მოხსნისა და სამუშაო ადგილების ნაწილის განახლებიდან გამომდინარე, რესპონდენტები მესამე ტალღაში ნაკლებად განიცდიან უმუშევრად დარჩენის საფრთხეს (45.4%) მაშინ, როდესაც მეორე ტალღის მაჩვენებელი 39.8%-ს უტოლდებოდა (1, 2, 3 ქულები 7 ქულიან სკალაზე). ამდენად, არასაკმარისი დანაზოგის არსებობის საკითხიც ისე მძაფრად აღარ აღიქმება: პირველი ტალღა - 76.8%, მეორე ტალღა - 74.2%, მესამე ტალღა - 70.5% (5, 6, 7 ქულები 7 ქულიან სკალაზე).


ტალღებს შორის მკვეთრი განსხვავებაა (9%-9%) იმ წუხილთან დაკავშირებით, რაც ეხება ჯანდაცვის სისტემის პაციენტებით გადატვირთულობას. თუკი პირველ ტალღაში გამოკითხული რესპონდენტების 82.7% განიცდიდა აღნიშნულ საკითხს, მეორე ტალღაში ეს მაჩვენებელი 73.7%-მდე, ხოლო მესამეში - 64,6%-მდე შემცირებული. ასეთი განსხვავება

უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოში ვირუსის მასობრივი გავრცელება, ამ ეტაპზე, არ მომხდარა და ჯანდაცვის სისტემა პაციენტების მიღებას გართულებების გარეშე ახერხებს. სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით, ემოციური ფონი მეტწილად გადავლილად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ახლა უფრო ნაკლები რესპონდენტი განიცდის სამედიცინო საშუალებებსა (პირველი ტალღა - 69.6%; მეორე ტალღა - 62.8%; მესამე ტალღა - 54.6%) და საკვებზე (პირველი ტალღა - 72.2%, მეორე ტალღა - 64.5%. მესამე ტალღა - 58.6%) შეზღუდულ ხელმისაწვდომობას.

ვირუსთან თანაცხოვრების საკითხის აქტიურად განხილვის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ არაერთი შეზღუდვა მოქმედებს. რესპონდენტები ამ ეტაპზეც წუხან იმის შესახებ, **რომ არ იციან, თუ როდის დასრულდება არსებული პრობლემური ვითარება**. თუმცა, წინა ტალღებთან შედარებით (პირველი ტალღა - 65.9%; მეორე ტალღა - 62.6%), მესამე ტალღის რესპონდენტები უკიდურეს 7 ქულას („ძალიან განვიცდი“) უფრო ნაკლებად აფიქსირებენ - 58%. აღნიშნული საკითხის განცდის ზოგადი ფონიც მესამე ტალღაში შემცირებულია და 86.7%-ს უტოლდება მაშინ, როდესაც პირველი და მეორე ტალღების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 90%-ს აჭარბებდა (5, 6, 7 ქულები 7 ქულიან სკალაზე).

და ბოლოს, როგორც ჩანს, რესპონდენტები მესამე ტალღაში შედარებით ნაკლებად განიცდიან **საზოგადოების ეგოიზმის ზრდის საფრთხეს** (5, 6, 7 ქულები 7 ქულიან სკალაზე). თუკი პირველ ტალღაში, გამოკითხულთა უმრავლესობა (52.1%) წუხდა აღნიშნულ საკითხზე, შემდგომ ეტაპებზე რესპონდენტების ემოციური ფონი თანდათან მცირდება (მეორე ტალღა - 49.3%; მესამე ტალღა - 45%). მსგავსი ცვლილება იმით უნდა აიხსნას, რომ ქვეყანაში ვირუსის მასობრივ გავრცელებას ხელი სწორედ საზოგადოების ერთობამ შეუწყო - უმეტესი ნაწილი ზედმიწევნით ასრულებდა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების რეკომენდაციებს. როგორც კვლევაშიც აჩვენა, თავშეყრის ადგილებს რესპონდენტები მაქსიმალურად ერიდებოდნენ და პრევენციის ზომებს იცავდნენ (იხ. დიაგრამა #29)

დიაგრამა #29



16. კოვიდ-19-ით ინფიცირებასთან დაკავშირებული სტიგმები³

მესამე ტალღის გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, შეიძინა თუ არა საქართველოში კორონავირუსით დაინფიცირებამ სტიგმის მნიშვნელობა, ანუ მოხდა თუ არა არა ადამიანების სტიგმატიზაცია ვირუსით დაინფიცირების ნიშნით. კერძოდ, დაუკავშირდა თუ არა დაინფიცირება ისეთ **ნეგატიურ კონოტაციებს**, როგორებიცაა **დაინფიცირების სირცხვილი, დამალვა, ინფიცირებულის გარიყვა, ინფიცირებულის მიმართ შიში/გაუცხოება და ა.შ.**

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ **მოსახლეობაში სტიგმა ინფიცირებულების მიმართ გამოკვეთილი არ არის, თუმცა საშუალოდ 10%-ში არსებობს გაუცხოება ინფიცირებული ადამიანების მიმართ.**


უფრო კონკრეტულად, გამოკითხვის შედეგები ასეთია:

1. დებულებას: *თუ ადამიანს კორონავირუსი დაუდასტურდა, ეს მან (და მისმა ოჯახის წევრებმა) არავის არ უნდა გაუმხილონ, სამედიცინო პერსონალის (ექიმების) გარდა, ეთანხმება 5.4% (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 7 – „სავსებით ვეთანხმები“); არ ეთანხმება (ქულები 1, 2 და 3)- 86,2%;*
2. დებულებას: *სირცხვილია, თუ კორონავირუსი შეგეყრება, ეთანხმება მხოლოდ 2%, არ ეთანხმება - 96.9%;*
3. დებულებას: *არ არის სანდო, თუ ინფიცირებულ ადამიანს, არაერთი ტესტირების შემდეგ, დაუდასტურდება, რომ ის გამოჯანმრთელებულია, ეთანხმება 14.8%, არ ეთანხმება 46.9%;*
4. დებულებას: *კარანტინში მყოფი ადამიანები ისეთ შენობაში უნდა განთავსდნენ, რომელიც ძალზე მოშორებული იქნება დასახლებული პუნქტისგან, ეთანხმება 31.6%, არ ეთანხმება 46.7%;*
5. დებულებას: *მოვერიდები გამოჯანმრთელებულ (ყოფილ დაინფიცირებულ) ადამიანთან კონტაქტს, ეთანხმება 31.5%, არ ეთანხმება - 47.1%.*

ანალიზი აჩვენებს, რომ ვინც ზემოაღნიშნულ 5 დებულებაზე გამოხატა პოზიცია **"სრულიად ვეთანხმები"**. მათი საშუალო რაოდენობა არის 10%. აღსანიშნავია, რომ მეოთხე და მეხუთე დებულებაზე დათანხმების შედარებით მაღალი მაჩვენებლები, სავარაუდოდ, გამოწვეულია არა იმდენად სტიგმით, არამედ, საკუთარი (და გარშემო მყოფი ადამიანების) უსაფრთხოების მოთხოვნილებით.

³ ეს საკითხი ჩართული იყო მხოლოდ კვლევის მესამე ტალღაში.

დიაგრამა #30




რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ სტიგმის აღიარებაზე ზეგავლენას ახდენს განათლების დონის ფაქტორი. კერძოდ, ის რესპონდენტები, რომლებიც უმაღლესი განათლების მქონენი არიან ყველაზე რეზისტენტულები აღმოჩნდნენ სტიგმატიზაციის მიმართ.

	სტიგმის აღიარება		
	OR	standartized CI	p
განათლების უმაღლესი დონე	-.090	-1.057 - -0.064	.027

17. პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო აქტივობების შეფასება⁴

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა 76.2%-ს ოჯახში ჰყავთ სასკოლო ასაკის ბავშვი (ძირითადად, ერთი ბავშვი), ხოლო, 43.7%-ს - სკოლამდელი ასაკის (3-6 წლის) ბავშვი (ძირითადად, ერთი ბავშვი).

დიაგრამა #31



რესპონდენტებს, რომელთა ოჯახში სასკოლო ან/და სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჰყავთ, დაესვათ სხვადასხვა შეკითხვა, რომლებიც ეხებოდა ბავშვებთან დისტანციური სწავლებით/ურთიერთობებით კმაყოფილებას, აგრეთვე, ონლაინ სწავლების სხვადასხვა ასპექტის და შედეგის მიმართ რესპონდენტთა შეფასებების/თვალსაზრისების გამომჟღავნებას.


კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (72.2%), რომელთაც ოჯახში სასკოლო ასაკი ბავშვები ჰყავთ, **კმაყოფილია დისტანციური სწავლებით**, რომელსაც სკოლა მათი ოჯახის სასკოლო ასაკის ბავშვ(ებ)ს სთავაზობს (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 აღნიშნავს „ძალზე უკმაყოფილოს“, ხოლო ქულა 7 – „ძალზე კმაყოფილს“). უკმაყოფილებას დისტანციური სწავლებით გამოხატავს 12.1%). აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებს

⁴ ეს საკითხი ჩართული იყო მხოლოდ კვლევის მესამე ტალღაში.

სკოლა არ სთავაზობს დისტანციურ სწავლებას, ხოლო ოთხმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ მათი ოჯახის სასწავლო ასაკის ბავშვ(ებ)ი სკოლაში არ ირიცხებიან.

კმაყოფილების ხარისხი რამდენადმე იკლებს (თუმცა, უმრავლესობა კმაყოფილია), როდესაც რესპონდენტები (რომელთაც ოჯახში სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჰყავთ) აფასებენ დისტანციური ურთიერთობას, რასაც საგანმანათლებლო/კულტურული დაწესებულებები, აგრეთვე, სხვადასხვა ტელევიზია და ონლაინ პლატფორმა ოჯახის სკოლამდელი ასაკის წევრებს სთავაზობს: კმაყოფილია 62.9%, ხოლო უკმაყოფილოა 15,6%). ამასთან, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 8.8%-ის თქმით, მათი ოჯახის ბავშვებს არ უტარდებათ დისტანციური ღონისძიებები, ხოლო 13.9% აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში არ ირიცხება.

დიაგრამა #32




გამოკითხვა აჩვენებს, რომ, რესპონდენტები, ძირითადად, პოზიტურ შეფასებებს გამოხატავენ, როდესაც საქმე ეხება დისტანციური საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდეგ კომპონენტებს:

- ონლაინ სწავლებისას ოჯახის მიერ ბავშვის დახმარებაში დახარჯული დრო
- ბავშვის მიერ დავალებების დამოუკიდებლად შესრულება
- ბავშვ(ებ)ის აკადემიური წინსვლა

- სკოლების/სკოლამდელი დაწესებულებების მიერ გაწეული ძალისხმევა პანდემიის პირობებში

თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური შეფასებები აღმწერ დებულებებს უფრო მეტად ეთანხმებიან რესპონდენტები, რომელთაც ოჯახში სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, ვიდრე ისინი, რომელთა ოჯახებში სკოლამდელი ასაკის ბავშვები ცხოვრობენ.

დიაგრამა #33



18. არასანდო/გადაუმოწმებელი ინფორმაცია

რესპონდენტების მიერ დასახელებულ გადაუმოწმებელ, არასანდო ინფორმაციებში სამივე ტალღის ფარგლებში, ძირითადად, ვირუსის წარმოშობასთან, პრევენციის ზომებთან, გავრცელების საშუალებებსა და სიმპტომებთან დაკავშირებული საკითხები გაერთიანდა.

რესპონდენტები მიუთითებენ, რომ არასანდო ინფორმაცია „პაციენტი 0“-ისა და, ზოგადად, ვირუსის წარმოშობის შესახებ შეხვედრიათ. ამ მხრივ, სამივე ტალღაში სახელდება

შეთქმულების თეორიის არსებობა, რომლის მიხედვითაც, ვირუსი ან არ არსებობს, ან სხვადასხვა ქვეყნის მიერ სპეციალურად არის შექმნილი. სამივე ტალღაში რესპონდენტები აქტიურად იხსენებენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი გზა 5G ინტერნეტია. აგრეთვე, გამოკითხული ადამიანები მიუთითებენ, რომ ხშირად არასანდო და გადაუმოწმებელი ინფორმაცია ტესტებთან დაკავშირებით ვრცელდება. პირველ ტალღაში საუბარი იყო არასწორი სტატისტიკის შესახებაც, რაც შემდეგ ტალღებში აღარ განმეორებულა. თუმცა, მესამე ტალღაში რესპონდენტების ნაწილი მიუთითებს, რომ ვირუსთან დაკავშირებული ინფორმაცია, ზოგადად, მედიის მიერ გაზვიადებულია.


როგორც ჩანს, რესპონდენტებს წაუკითხავთ/მოუსმენიათ გადაუმოწმებელი ინფორმაცია ვირუსის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. აღნიშნული საკითხი სამივე ტალღის განმავლობაში განმეორდა. ამ ყოველივეს თან ახლავს საკარანტინო ვადებიც. მიუხედავად იმისა, რომ კარანტინისა და იზოლაციის პერიოდი, როგორც წესი 14 დღეს გულისხმობს, რესპონდენტები მესამე ტალღაში განსხვავებულ პერიოდზეც მიუთითებენ.

კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შესახებ არასანდო ინფორმაციის მიღება ვლინდება სამივე ტალღის შემთხვევაში, კერძოდ, რესპონდენტები პირველ ტალღაში კონკრეტულად გულმკერდის არეში ძლიერ ტკივილსა და სხეულზე გამონაყარზე მიუთითებდნენ.

გადაუმოწმებელ ინფორმაციას რესპონდენტები ვირუსის გავრცელების პრევენციული გზების შესახებაც გაცნობიან. მათ შორის სამივე ტალღაში სახელდება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ცხელი წყლის დალევა, ალკოჰოლის მიღება, ხალხური საშუალებებით მკურნალობა/თვითმკურნალობა (მაგ.: ნივრის ჭამა). ამასთან, პირველ ტალღაში დასახელდა წყალბადის ზეჟანგის პირში გამოვლების პრაქტიკა, ხოლო მესამე ტალღაში განსაკუთრებული აქცენტი ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლებზე დაისვა. რესპონდენტების ნაწილი იცნობს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ამ ჯგუფის წარმომადგენლების კორონავირუსით დაინფიცირება ნაკლებ სავარაუდოა.

ალკოჰოლისა და თამბაქოს პრევენციული როლის შესახებ რესპონდენტთა შეფასებები სტატისტიკურად გაიზომა გამოკითხვის პროცესში. შედეგები აჩვენებს, რომ ა) გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (82.8%) კატეგორიულად არ ეთანხმებს (ქულა 1 შვიდ ქულიან სკალაზე) დებულებას იმის შესახებ, რომ თამბაქოს მოხმარება ვირუსით დაინფიცირების რისკს ამცირებს და ბ) ასევე, გამოკითხულთა 75.1% კატეგორიულად არ ეთანხმება დებულებას იმის შესახებ, რომ ალკოჰოლის მიღება/დალევა ვირუსით დაინფიცირების რისკს ამცირებს. თამბაქოს პრევენციული ფუნქციის შესახებ დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს რესპონდენტთა 4.3% (ქულები 5, 6 და 7 შვიდ ქულიან სკალაზე), ხოლო ალკოჰოლის პრევენციულ ფუნქციას ეთანხმება 7.2%.

დიაგრამა #34



რაც შეეხება **სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებულ** პრევენციისა და მკურნალობის გზებს, რესპონდენტები სამივე ტალღის ფარგლებში „ბე-სე-ჟე“-ს აცრას დაინფიცირებისგან თავის არიდების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ასახელებენ. აგრეთვე, მიუთითებენ, რომ შეხვედრით ინფორმაცია კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ან სამკურნალო პრეპარატის არსებობის შესახებ. ყველაზე ხშირად სახელდება აივ/შიდსის სამკურნალო პრეპარატების გამოყენების პრაქტიკა. ასევე, სამივე ტალღაში რესპონდენტები აქტიურად ასახელებენ, რომ გაცნობიან ინფორმაციას კორონავირუსისგან განსაკურნებლად მედიკამენტ პლაქვენილის ეფექტურობის შესახებ.

გარდა ამისა, პირველ და მესამე ტალღაში რესპონდენტები იმუნურობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხნენ. მათ მიუთითეს, რომ უნახავთ/სმენიათ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, გამოჯანმრთელებული ადამიანი იმუნური ხდება კორონავირუსის მიმართ, თუმცა, დაზუსტებით არ იციან სიმართლეს შეესაბამება ეს ცნობა თუ არა.